საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 142
01/08/2022

142-2-4-202208011929

,,კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2.03.2022 წლის #32 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად ვბრძანებ:

1. ,,კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2.03.2022 წლის #32 ბრძანებით დამტკიცებულ ,,კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესი და პირობები” შევიდეს ცვლილება:

ა) შეიცვალოს პირველი მუხლის მე-2 პუნქტში კინოდისტრიბუციის სფეროს ჩამონათვალი და განისაზღვროს შემდეგი ფორმულირება: ,,კინოდისტრიბუცია (ყოველწლიური და ერთჯერადი კინოფესტივალები, კინოჩვენებები, კინოკვირეულები, შემოქმედებითი საღამოები და იუბილეები, რეგიონული კინოკლუბების მხარდაჭერა, კინოთეატრებისა და კინოსივრცეების ამოქმედების კონცეფციების შექმნა, სადისტრიბუციო კომპანიების დაარსების წახალისება და სხვ.)“
ბ) შეიცვალოს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განაცხადის წარმოდგენის ვადა და განისაზღვროს შემდეგი ფორმულირება: ,,2. განაცხადი პროექტის დაფინანსების თაობაზე შესაძლებელია შემოტანილ იქნას ეროვნულ კინოცენტრში წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, პროექტის დაწყებამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) დღით ადრე ეროვნული კინოცენტრის მიერ შემუშავებული ფორმით (დანართი 1).“
2. ბრძანება ძალაში შევიდეს ვებ - გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

მაია ჭილაშვილი

დირექტორი - მ.შ.